ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 40
05/06/2019

40-06-4-201906051508

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ლაძგვერიის წყაროსთან მდებარე საზოგადოებრივი ნაგებობების მოვლა-პატრონობის მიზნით კომერციული საქმიანობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად ,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შექმნილი ქონების, ლაძგვერიის წყაროსთან მდებარე საზოგადოებრივი ნაგებობების მოვლა-პატრონობის მიზნით კომერციული საქმიანობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის თაობაზე.
2. წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა-600 ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-50 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო